ეროვნული
ბიბლიოთეკა


# მწყემსი






მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


№ 2 **1883—1895** 15—30 იანვარს.


შინაარსი: ყვირილა. 14 იანვარი 1895 წ.—შესანიშნავი ხელნაწერი (გაგრძელება).—საისტორიო მასალა —თამარ დედოფლის გულკეთილობა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.


სასულიერო მთავრობის ნება-დართვით

**გაიხსნა ქ. ქუთაისში,** მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გალავანში, სამთლის საწყობის გვერდით,

**საეპარქიო შესამოსლების და ყოველგვარი ეკკლესიური ნივთების საწყობი.**

მიზანი ამ საწყობისა არის: 1) იაფ ფასად მიჰყიდოს ეკკლესიებს ყოველივე საეკკლესიო ნივთები და მით ხელი შეუწყოს მათ გამშვენებას და 2) ის ცოტა ოდენი მოგებაც, რომელიც, უეჭველია, დარჩება ამ საწყობს, მოახმაროს იმისთანა სიმპატიურ საქმეს, როგორიც არის იმერეთის საეპარქიო გაბრიელის საქალებო სასწავლებელი.


## ყვირილა. 14 იანვარი 1895 წ.

14 იანვარს ჩვენს ეხლანდელს ყვირილაში და ძველადვე შორაპანში ან ზესტაფონში დიდის ამბით დღესასწაულის ტაძრის დღეობა, წმიდა მოციქულთ სწორის ქართველთ განმანათლებელის ნინას ხსენება. ეს დღესასწაულობა სწორეთ შესანიშნავი იყო და ამისთვის ნება მიბოძეთ, პატივრემულნო მკითხველნო, აგიწეროთ ეს ამბავი და თუ გრძელი სიტყვა გამოვიდეს, ნუ შეგვრისხავთ და ნუ მოგვაკლებთ თქვენს ყურადღებას წერილის დასრულებამდისინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეხსენებათ, რომ ყვირილის დაბა დაიბადა 1868 წელში და დღეს ჩინებულად არის გაზრდილი. 1870 წელში ადგილობითმა მღვდელმა დ. ღამბაშიძემ თავის მეცადინეობით ერთი გაუქმებული პურის მაღაზიის შენობა გადააკეთა ეკკლესიად დროებით. ამ ბოლო დროს ეს ეკკლესია გადაიტანეს და სასაფლაოს ეკკლესიად დანიშნეს და სასაფლაოსთვისაც დიდი და მშვენიერი ადგილი შეიძინეს. ამ ეკკლესიის ტრაპეზი ადგილობითმა კრებულმა მღვდელ-მთავარს აკურთხებინა წმიდა მოციქულთ-სწორის ნინას სახელზედ. ამ სახით ყვირილის დაბის მცხოვრებთათვის დაარსდა ტაძრის დღესასწაულად წმიდა ნინას დღეობა—14 იანვარი. *)

სწორეთ ამ დღესასწაულობის წინ, ექვსი დღით ადრე დეკ. დ. ღამბაშიძემ მიიღო მოსკოვიდამ ხსენებული ტაძრისათვის მშვენიერი ხელოვნებით მოჭედილი ხატი. ხატი სიგრძით არშინ ნახევარია და განით არშინი. იგი ძველი ქართული ხასიათის და გემოს ჩუქურთმით არის მოჭედილი და მოვეცხლურ-მოოქროვილი ბრონზაზე, მხატვრობაც შვენიერი ხელოვნებისაა, ამ ხატს აუგეს მშვენიერი დასასვენებელი ცალკე იკონოსტასის გვერდით კედელზე და წინა დღით, 13 იანვარს, დაასვენეს ხატი და კურთხევის წესიც აღასრულეს. 13 გარდახდეს ღამისთევით ცისკარი და დაუჯდომელი წმიდა ნინოსი. მეორე დღეს, ათ საათზე დაიწყო წირვა და თითქმის ორს საათს გაგრძელდა. ღამისთევით ცისკარზედ და წირვაზედ ჯინჭველაშვილის ლოტბარობით გალობდა ყვირილის სამრევლო სკოლის მოწაფეები კარბელაშვილის კილოთი. წირვის გათავებისას დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

«ძმანო ქრისტიანენო! მართლ-მადიდებელი ქართველთ ეკკლესია დღეს, 14 იანვარს, დღესასწაულობს წმიდა მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებელის ნინას ხსენებას. ეს დღე ჭეშმარიტად, დიდად სახსენებელია მართლ-მადიდებელ ქრისტიან ხალხთათვის საზოგადოდ და კერძოდ ქართველთათვის და განსაკუთრებით ჩვენი ეკკლესიის შემავალთათვის, რადგან ჩვენი ეკკლესია ნაკურთხია ამ წმინდანის სახელზედ. სანამ ჩვენ რამეს ვიტყოდეთ ამ დღესასწაულობის შესახებ ჩვენში, მე მსურს მოკლეთ მოგახსენოთ ისტორია ამ შესანიშნავი წმიდანისა. მართალია, ზოგიერთებმა იციან ამ წმიდანის მოკლე ისტორია, მაგრამ მრავალნი არიან, რომელთაც იციან მხოლოდ ის, რომ დღეს ნინაობა არის და სხვა კი არა იციან რა მოციქულთსწორ ნინასა და მის მოღვაწეობაზე...

სული წმიდის მოსვლის შემდეგ ქრისტეს მოწაფეებმა და ღვთის მშობელმაც წილი ჰყარეს, რომ შეეტყოთ, ვის სად და რომელ ქვეყანაში უნდაექადაგა ქრისტეს სარწმუნოება. საქართველოს ქვეყანა, როგორც გადმოცემა გვიამბობს, თვით ღვთის-მშობელს ერგო წილად. მაგრამ მის ნაცვლად მოციქული ანდრია პირველ-წოდებული მოვიდა და იქადაგა ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. ქრისტეს სჯული მაშინ ვერ დამყარებულა საქართველოში, და სამასმა წელიწადმა კიდევ გაიარა ქრისტეს შემდეგ, როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს. მეოთხე საუკუნეში (318 წ.), სწორედ იმ დროს, როცა დიდი კონსტანტინე მეფობდა და რომელმაც მოსპო ქრისტიანების დევნა, საქართველოში მოვიდა იერუსალიმიდან ერთი ფრიად შესანიშნავი ქალწული ქალი, რომელსაც ნინო ერქვა, და მან მოაქცია ქართველები.

წმიდა ნინოს მამას სახელად ზაბულონი ერქვა. ეს კაცი პირველად სცხოვრობდა კაბადოკიაში და ამ ქვეყანაში დიდი მამულები ჰქონდა. ახალ-გაზდობისას ის წავიდა ქალაქ რომში და იქ სამხედრო სამსახურში შევიდა. სამსახურში იმან ძლიერ ისახელა თავი, შეიქმნა რომის მხედართ-მთავრად და ისახელა თავი ბრანჯთა ზედა გამარჯვებით. რომის კეისარმა მაქსიმილიანემ ჯილდოთ უბოძა მას მთავრობა ბურგუნდიის ქვეყანისა. ზაბულონი გულსმოდგინე ქრისტიანი კაცი იყო და ბურგუნდიის ხალხიც მოაქცია ქრისტიანობაზე.

ზაბულონს და მის ცოლს სუსანას ჰყავდათ ერთად ერთი შვილი ნინო (ნინა). როცა ნინო თორმეტი წლის იყო, მამა მისი ბერად შესდგა, დედაც მონაზვნად. პატარა ნინო ბიძამ, იერუსალი-

---

*) ძველ ნაეკკლესიარ ადგილზედ გამოიწყო მშვენიერი ქვითკირის ეკკლესია აქაურმა მცხოვრებელმა ჩვენმა შესანიშნავმა ქველმოქმედმა გედევან ჩუბინიძემ თავის ხარჯით, რომლის აშენებას მოუნდება ორმოცი ათას მანეთამდე. ამ ეკკლესიის კედლები მთლად ეკლარის თლილი ქვით არის გაკეთებული. მრავალი მასალაც დამზადებულია ეკკლესიისათვის. ეს ეკკლესია შენდება წმიდა მთავარ მოწამეთა არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს სახელობაზე. არგვეთის მთავარნი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე შორაპნის მაზრიდგან არიან და მხოლოდ დღეს შენდება მათ სახელზედ ეს ეკკლესია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მია პატრიარქმა, მიაბარა გასაზრდელად ერთ ღვთისმოყვარე მოხუცს დედა-კაცს, რომელიც იერუსალიმში ქრისტეს საფლავს ემსახურებოდა. ამ ღვთისმოყვარე დედაკაცისაგან მან მიიღო სწავლა და ისიც შეიტყო მისგან, რომ იესო ქრისტეს უკერავი პერანგი ანუ კვართი საქართველოში იყო წამოღებული.

ნიაფორა, სხვათა შორის, ასწავლიდა ნინას ქართულ და სომხურ ენას და ბევრს ეუბნებოდა ქრისტეს კვართზე (პერანგზე), რომელიც ერგო მცხეთელს ებრაელს, სახელათ ელიოზს. როცა იერუსალიმიდან მოიტანა კვართი უფლისა და თავის დას სიდონიას მისცა იგი, სიდონიამ სასოებით შეიტკბო გულში ქრისტეს პერანგი და სული განუტევა. სიდონია ქრისტეს პერანგიანა დაკრძალეს მცხეთას, მაგრამ მისი საფლავი დაიკარგა. წმიდა ნინოს გულში ჩაუვარდა ეს ამბავი და განიზრახა, კვართი უნდა ვიპოვნოო. აი, იმ დღიდგან ჩაედვა თავში მოციქულთ-სწორს დედა-კაცს საქართველოსკენ გამომგზავრება. ერთხელ ძილში გამოეცხადა მასს ღვთის მშობელი, გაამხნევა და მისცა მას ვაზის ლერწისგან გაკეთებული ჯვარი, რომელიც შეჰკრა თავისი თმით. როცა წმ. ნინოს გამოეღვიძა, იმან მართლაც ეს ჯვარი თავის ხელში ნახა და ძალიან გაეხარდა: ეხლა კი დარწმუნდა, რომ ღმერთი მისი შემწე იყო. ამ დროებში რომიდგან კონსტანტინე კეისრის დედის, ელენეს, მოახლე მოვიდა ეთერას, რომელმაც უთხრა ნიაფორას, რომ დედოფალი ელენე ძალიან მოყვარულია ქრისტიანობისაო. წმ. ნინო გაჰყვა რომს დედოფლის ელენეს მოახლეს, ჰსურდა მისი შემწეობით გაცნობოდა დედოფალს და მოექცია ის ქრისტეს სარწმუნოებაზე. რომში წმინდა ნინო დადგა ერთ დედათა მონასტერში, სადაც ის გაეცნო სომხის დედოფალს რიფსიმეს და უქადაგა მას ქრისტეს სარწმუნოება. ამ დროს კეისარს მაქსიმინეს მოუვიდა რიფსიმეს შვენიერების ამბავი და განიზრახა მისი ცოლად შერთვა. რიფსიმე, როგორც ქრისტიანი, შეშინდა წარმართის ცოლობაზე და გამოიქცა რომიდან სომხეთს. მას თან გამოყვენ წმინდა ნინო, რიფსიმეს ძიძა გაიანე და მათთან ოც-და-თორმეტი ქალწული. როცა ისინი მოვიდენ დვინის ქალაქში, აქ სომხის მეფეს თრდატს მოუვიდა კეისრის წიგნი, რომ ჩემი საცოლო, რიფსიმე შვენიერი, შენს საბძანებელში გამოიქცა, შეიპყრე და გამომიგზავნეო; და თუ მაინცა და მაინც მოგეწონოს, შენთვის დამითმიაო. თრდატ სომხების მეფემ მოაძებნინა ქრისტეს მოღვაწე ქალები, ალტაცებაში მოვიდა რიფსიმეს შვენიერებით და როცა ვერ დაითანახმა ცოლობაზე, დაატანჯვინა ის და მასთან მისი თანამგზავრებიც, როგორც ქრისტეს აღმსარებელნი. წმინდა ნინო კი ღვთის განგებით გადარჩა და გამოემგზავრა ჩრდილოეთით. ივნისის თვე იყო, როცა წმინდა ნინო მოვიდა ჯავახეთს და ფანავრის ტბის პირათ ქართლის მწყემსები და მეთევზეები ნახა. იმან გამოჰკითხა მათ ვინაობა, ერთ მათგანს სომხური ცოდნოდა და იმან უპასუხა: ჩვენ ვართ მცხოვრებნი დიდი მცხეთის ქალაქისა. მდინარე, რომელიც ამ ფარავნის ტბიდან გადის დასავლეთით, ერთვისო უფრო დიდ მდინარეს; დაუყევი იმ დიდ მდინარეს თავდაღმა და პირდაპირ მცხეთას მიგიყვანსო. წმინდა ნინო დაადგა მტკვრის პირათ და მივიდა უდაბნოში. აქ დადგა ერთ თვემდის ერთი ურიის სახლში. აქ უფრო შეისწავლა ქართული და ქართველთა ხასიათი და ჩვეულებანი. ერთხელ შენიშნა, რომ მრავალნი მოგზაურნი მიდიან ქვემოთ მცხეთაში არმაზის კერპის დღესასწაულობაზე. გაჰყვა მათ და ჩავიდა მცხეთაში.

ამ დროს ყოველ კუთხიდან სულ აქ მოგროვილიყო ხალხი. მეფის სასახლიდან არმაზის კერპამდის გზა მოფენილი იყო მდიდარი სამოსლით და მრავალფერი ყვავილებით. მეფე-დედოფალი ამ გზით უნდა წაბძანებულიყო არმაზის კერპის თაყვანის საცემლად. ატყდა დიდი ყვირილი და ჟრიამული ხალხისა, მრავალი საკრავები იკვრებოდა და დაფების ხმაურობა ისმოდა. მეფე მირიან, დედოფალი ნანა, მათი სეფე-წულები და ხლებული ჯარი გამობრძანდენ სასახლიდან, ხალხი პირქვე დაემხო და ვერ ბედავდა მათ შეხედვას; სადღესასწაულოთ გამოწყობილი ქალები და ყმაწვილები კი სახლებში უნდა შემალულიყვნენ. ასე იყო მაშინ ჩვეულება მეფის გამობძანების დროს. მის სახეს, როგორც მზისას, ამ დღესასწაულობის დროს ვერავინ იხილავდა.

ნინოს ლოცვის ძალით საშინელი ჭექა-ქუხილი გაჩნდა და კერპები სულ შემუსრა და პირქვე დასცა იგინი. მცხეთაში ნინომ პირველად გაიცნო ქალი შროშანი, რომელიც მეფის ცოლის პირფარეში გოგო იყო. ნინო შეეხიზნა მცხეთაში მირიან მეფის მება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ცოლს ანასტასიას. ეს დედა-კაცი უშვილო იყო; ნინოს ვედრებით მას შვილი მიეცა; ამავე დროს ნინომ განკურნა ერთი მძიმე ავადმყოფი და ქრისტეს სწავლის ქადაგება დაიწყო.

როცა მირიან მეფის ყურამდინ მიაღწია ამ ამბავმა, მან აღუკრძალა წმ. ნინოს ქრისტეს სახელით ქადაგება. მაშინ წმიდა ნინომ აღირჩია ერთი ადგილი იქ, სადაც ეხლა სამთავროს ეკკლესია არის, გააკეთა კარავი, დაავო შიგ ნაბადი, დაასვენა შიგ თავის ჯვარი და დღე და-ღამე ევედრებოდა ღმერთსა. აქ მოდიოდა მასთან ბლომად გაჭირვებული ხალხი და ნინოც ყველას შველოდა და თან უქადაგებდა ქრისტეს სწავლასა. როცა წმ. ნინომ დაინახა ხალხის პატივისცემა თვისდამი, გამხნევდა ის და უშიშრად ქადაგება დაიწყო. ამ საქმეში იმას მალვით შველოდნენ თვითონ მირიანის ცოლი, დედოფალი ნანა, და სხვანი ბევრი მაღალი წოდების ქალები.

მეოთხე წელიწადზე წმინდა ნინოს მოსვლისა, გახდა ავათ დედოფალი ნანა ავი სენით და გაუგზავნა კარის კაცები წმიდა ნინოს მოსაყვანათ. მან უარი თქვა სასახლეში მოსვლაზე და თავის ბინაზე მოითხოვა ავათმყოფის დედოფლის მიყვანა. დედოფალი დათანხმდა. წმინდა ნინომ დააწვინა დედოფალი თავის ლოგინზე, რომელიც მხოლოდ უბრალო ძაძით და ნაბდით იყო დაგებული. წმიდა ნინომ აღაპყრო თვალები ზეცას, ილოცა დედოფლის განკურნებისათვის და კიდეც განიკურნა. სამაგიეროთ დედოფალმა ნინამ შესძლია წმიდა ნინოს მრავალი ოქრო და ვერცხლი, აგრეთვე მდიდარი სამეფო სამკაული, მაგრამ წმიდა ნინომ უარი თქვა ყველაფერზე, მე კი არა, ჯვარმა ქრისტესმან ულხინა ავად-მყოფსო. განკურნებულ დედოფალს უფრო შეუყვარდა წმიდა ნინო, გახდა ცხადად მისი მეგობარი, მოსარჩლე და სულითა და გულით ქრისტიანი. მეფემ არ მოიწონა დედოფლის ასეთი ქცევა და დიდებულთა რჩევით გარდასწყვიტა, რომ წმ. ნინოც მოეკლათ, დედოფალი ნინაც და სხვანიც, რომელთაც კი ქრისტე ეწამათ.

ამგვარ მდგომარეობაში მეფემ მოინდომა თავის გასართობად ნადირობა; თან იახლო თავისი ამალა და გავიდა მცხეთიდგან. ეს ნადირობა გახდა მიზეზად მისი მოქცევისა. ნადირობის დროს იმას უბედურება შემთხვა. თხოტის ტყეში რომ შევიდა, იმას უეცრად დღე საშინლად დაუბნელდა, ის ძრიელ შეშინდა; ამან და იმის მხლებლებმა სიბნელეში ერთმანეთი დაჰკარგეს. დარჩა მეფე ტყეში მარტოდ, ჩამოხდა ცხენიდგან, დაიჩოქა და დაუწყო ჯერ თავის ღმერთებს ხვეწნა, რომ არ მიეცა შველა, მერმე მიმართა ქრისტეს: «ღმერთო ნინოსაო! ოღონდ განმინათლე ეს სიბნელე, მშვიდობით დამაბრუნე შინ და მაშინვე ვიწამებ შენს სახელსა, თაყვანსა ვსცემ შენს ჯვარს და შენ მიერ მოვლინებულს ნინოსაო».

გაათავა თუ არა მეფემ ლოცვა, სიბნელე მაშინვე გაქრა, და ქვეყანას ისევ სინათლე მოეფინა. გახარებულმა მეფემ მოძებნა თავისი მხლებელნი, შეჰყარა ერთად, გამოუცხადა, რაც მოხდა, დაანება თავი ნადირობას და მაშინვე დაბრუნდა მცხეთაში. მაგრამ ის პირდაპირ სახლში არ მივიდა, იმან მიმართა ცხენ და ცხენ წმ. ნინოს სადგურს, ჩამოვიდა ცხენიდგან, დაიჩოქა და მუხლი მოუყარა ჯვარს. მერმე გამოუცხადა წმ. ნინოსა და ხალხს, რომ მას სურს თვითონაც მიიღოს ქრისტიანობა და ხალხიც გაქრისტიანოს.

ცოლის მორჩენის შემდეგ მირიანმა მიყო ხელი ხის ეკკლესიის შენებას თავის ბაღში. მოაჭრევინა ის დიდებული ნაძვის ხე, რომელიც იწოდებოდა არმაზის ხედ. გათალეს ამ ხიდგან შვიდი სვეტი, რომელთაგან ერთი ვერას გზით ვერ ააყუდეს. დადგა წმიდა ნინო ლოცვათ და განთიადისას დაღალულობისაგან მიეძინა, ნახა სიზმარი, რომ ეს სვეტი ანგელოზმა სინათლით მოსილმა, ზეცას აიტაცა და შემდეგ ნელ-ნელა ჩამოუშვა და დააყენა შუაგულ ეკკლესიაში. მართლაც წმიდა ნინომ გამოიღვიძა და იხილა სვეტი თავისთავად ამართული. მეფე დედოფალმა და ხალხმა ამის შემდეგ ცხადათ თაყვანისცეს ღმერთს წმიდა ნინოსას.

შემდეგ ამისა მეფემ და ნინომაც მისწერეს საბერძნეთის იმპერატორს კონსტანტინეს ქართველთ გაქრისტიანების სურვილი და სთხოვეს საჩქაროდ მღვდლები გამოეგზავნა. კონსტანტინეს ძლიერ იამა ეს ამბავი და გამოგზავნა საქართველოში ეპისკოპოსი ესტატე, ორი მღვდელი სამიც მთავარ-დიაკონი. მინამ ისინი მოვიდოდნენ, წმინდა ნინომ ხალხი საკმაოდ მოამზადა ქადაგებით როცა მოვიდნენ, პირველად მოინათლენ მეფე მირიანი და დედოფალი ნანა და შემდეგ ყველა ხალხი, სატახტო ქალაქის მცხეთის მცხოვრებნი. ასე ამგვარად მცხეთაში მტკვარი შეიქმნა ემბაზად მცხეთის მცხოვრებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის, რომელშიაც ისინი მოინათლენი ნინას ქადაგებით. შემდეგ ამისა ნინამ დაიწყო ქადაგება საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეებში და ხალხი მთლად მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

როცა კახეთში წმინდა ნინომ შეასრულა თავისი მოციქულებრივი მოღვაწეობა, ღვთის განგებით ეუწყა მას თავისი სიკვდილის მოახლოვება. ეს ამბავი წმ. ნინომ მაშინვე აცნობა მეფე მირიანს. მეფე და ეპისკოპოსი იოანნე მაშინვე წავიდენ მასთან.

338 წელში ნინამ მიიძინა; მისი გვამი დაასაფლავეს სოფელ ბოდბეში, იქ სადაც მიიძინა. 342 წელში წმინდა ნინას საფლავზედ მეფე მირიანმა დაიწყო ეკკლესიის შენება, რომელიც მისმა შვილმა ბაქარმა დაასრულა.

ივერიის ეკკლესიამ ანტიოქიის ეკკლესიის ნება-დართვით წმ. ნინას უწოდა მოციქულთა სწორი, შერაცხა წმიდანების რიცხვში და მის მოსახსენებლად დააწესა ყოველ წლობით დღესასწაული 14-ს იანვარს. ამ დღესასწაულის დაარსება უნდა მომხდარიყოს წმ. ნინას მიძინების შემდეგ ახლო ხანებში, როგორც ამას მოწმობენ ძველი ეკკლესიები, რომელნიც აღშენებულნი არიან წმ. ნინას სახელზე.

რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკკლესიაც აღიარებული ჰყავს წმ. ნინა მოციქულთ-სწორათ.

ამ გვარად მართლ-მადიდებელი ეკკლესია ივერიისა ღირსეულად სცემს პატივსა წმ. ნინას, როგორც მოციქულთ-სწორს და საქართველოს განმანათლებელს წმიდა ნათლის-ღებითა».

აი, ძმანო, მოკლე ცნობანი იმაზე, თუ ვინ იყო წმინდა ნინა ქართველთ განმანათლებელი და რატომ დღესასწაულობს ქართველთა მართლ-მადიდებელი ეკკლესია მის ხსენებას და განსაკუთრებით რა არის მიზეზი ჩვენი ეკკლესიის დღესასწაულობისა. ეს ჩვენი ტაძარი არის აგებული და ნაკურთხი წმიდა ნინას სახელზედ და ეკკლესია ხომ იცით არის ჩვენი სულიერად დამბადებელი, აღმზრდელი და საუკუნო ცხოვრების და ნეტარების მომნიჭებელი. იგი ნიადაგ, როგორც კეთილი მოსიყვარულე დედა თავის შვილს, გვარიგებს, გვასწავებს და მოგვანიჭებს ღვთის მადლს; იგი ნიადაგ ზრუნავს ჩვენი ამ ქვეყანაზე ჩვენ კეთილად ცხოვრებისა და საუკუნო ცხოვნებისათვის. აბა შეხედეთ, რა სიხარულით და რა აღტაცებით დღესასწაულობენ თავისი ანგელოზის სახელსა ჭეშმარიტნი ქრისტიანენი. იქნება ეს სიტყვა არც კი ესმოდეს ეხლა ბევრს და ვერც გაიგოს «თავისი ანგელოზის» სახელის დღესასწაულობა. ამ დღესასწაულობას ეხლანდელ დროში ჩვენი ქართველები დამახინჯებულად უწოდებენ «იმენინიკს». რუსეთში იტყვიან დღეს მე ვდღესასწაულობ იმენინიკს», ე. იგი, ჩემი მფარველი ანგელოზის სახელს. თითოეულს ჩვენგანს ეწოდება რომელიმე წმიდანის სახელი. როდესაც ეკკლესია დღესასწაულობს ამ წმიდანის ხსენებას, რომლის სახელი გვეწოდება ჩვენ, მაშინ ყველმ ქრისტიანე ვალდებულია ეს დღე იუქმოს და ქრისტიანულად იდღესასწაულოს იგი. ეს არის დღესასწაულება ერთი კერძო კაცისა, ოჯახობისა.

თავისი ანგელოზის სახელის დღესასწაულება ერთგულად სრულდება რუსთა შორის, მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, იშვიათია... თუმცა წახედვით ასრულებენ ზოგიერთები, მაგრამ ამ გვარად თავისი ანგელოზის სახელის დღესასწაულობას რომ არ ასრულონ, ისა ჯობს...

თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ რას მოქმედებენ, ზოგიერთები, როდესაც რომელიმე მათი უფროსი დღესასწაულობს თავის «იმენინიკს» თავის ანგელოზის, თავის წმინდანის სახელის ხსენებას. ყველამ კარგად იცის, თუ რა მოწიწებით და პატივისცემით დღესასწაულობენ ზოგნი შიშისა გამო, ზოგნი ყურადღების დამსახურებისა გამო, ზოგნი დროების გატარებისა და ქეიფობისა გამო და ზოგნი კიდევ, ვინ მოსთვლის რა პირადი განზრახულებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰო! მას ვხედავთ ჩვენ უბრალო მომაკვდავ პირთა შორის, რომელთაც არაფერი არ შეუძლიათ კაცის სულიერი წარმატებისათვის. თუ ასე კრძალვით და ბეჯითობით ვდღესასწაულობთ ჩვენ ჩვენი უფროსის, ჩვენი მოყვსის და მეგობრის დღეობას, რამდენად უფრო პატივისცემით უნდა ვასრულებდეთ ჩვენ იმ პირთა ხსენებას, რომელთაც ჩვენ დაგვბადეს სულიერი ცხოვრებისათვის, რომელთაც ჩვენ გაგვაქრისტიანეს და აღმოგვიყვანეს იმ ბნელი უფსკრულიდან, რომელშიაცა ვიყავით ჩვენ ყველანი ჩაცვინულნი? ამისთანა პირების სახელის მოხსენებას ჩვენ ვალდებული ვართ ვდღესასწაულობდეთ გარდამატებით და დიდის კრძალვით. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, რას ვხედავთ? მცირე ნაწილი მცხოვრებლებისა კახეთის მხრისაკენ დღესასწაულობს ნინოს ხსენებას. ამ დღეს ისინი მიდიან სალოცავად ბოდბის ტაძარში, სადაც განისვენებს წმიდა მოციქულთ-სწორის ნინას გვამი და ჭეშმარიტად გულ-მხურვალედ ევედრებიან ღმერთს. დანარჩენ საქართველოს კუთხეებში ეს ჩვენთვის მარადის სახსოვარი ძვირფასი წმიდა ქართველთ განმანათლებელი ნინა, თითქმის, დავიწყებულია. აქა-იქ სასწავლების ტაძრებში, რომელნიც ამ წმინდანის სახელზედ არიან აგებულნი და ნაკურთხნი, სრულდება წირვა-ლოცვა, თორემ მთელი სამღვდელოება გარდა თბილისის საკათედრო სიონის ტაძრისა, თუ ამ წმინდანის ხსენება კვირა-უქმე დღეს არ შეხვდა, წირვასაც არ ასრულებს და არც მლოცველები გაივლიან ტაძარში. ასეთივე სამწუხარო გულგრილობა, ასეთივე სამწუხარო დაუდევნელობა ხშირი მოვლენაა ჩვენში სხვა და სხვა შესანიშნავ წმინდანთა სახელების ხსენების და დღესასწაულობის დროსაც. ავიღოთ ძველთაგან ჩვენში დღესასწაულობანი ალავერდობა, გიორგობა, მარიამობა, ივანობა, მცხეთობა, დავით და კონსტანტინეობა, გელათობა და სხვა და სხვა დღესასწაულობანი. სადღა არის დღეს ის ძველი დროის ქრისტიანული დღესასწაულება და ხსენება წმინდანებისა? სადღაა დღეს ის ჭეშმარიტი ქრისტიანული მლოცველები და ღამის მთევლები? იქნება ჩვენი სიტყვა არავინ დაიჯეროს და მიგვითითოს ზოგიერთი წმიდანების და ტაძრების დღესასწაულობაზე და ღამის მათიერებზედ, როგორც მაგალითად გიორგობაზედ ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში, მცხეთობას, მოწამეთობას, გელათობას და სხვა ტაძრის დღესასწაულობაზე, რომელ დღეებშიაც აურებელი ხალხი იკრიბება ხოლმე და ღამის მათევარნიც მრავალნი არიან ტაძრების გალავანში. მართალია, ამ დღესასწაულობაზე ხალხი მრავალი იკრიბება და მთელ დღესაც ტაძრის გალავანში ათევენ ხოლმე უძილრად, მაგრამ განა ეს ეხლანდელი ღამის თევა შეედარება იმ ძველი დროის ღამისთევით ლოცვასა და ვედრებას, რომელიც ძველ დროში იყო. უწინ ღამის მთეველები მთელ ღამეს ღვთის ვედრებაში იყვნენ ჯერ მოისმენდნენ ღამისთევით ცისკარს, რომელიც თითქმის შუაღამემდის გაგრძელდებოდა, შემდეგ მოისმენდნენ დაუჯდომელის და სხვა ლოცვათა და ასე მთელი ღამე ლოცვაში და ღვთის ვედრებაში იყვნენ. ეხლა რას ვხედავთ? ღამის მათიერნი მოვლენ, დაებარგებიან ტაძრის გალავანში, წამოიღებენ შინიდან ბლომათ პურ-ღვინოს, გააჩაღებენ ცეცხლს, დაუდგებენ მწვადებს, (მოხდება ეს მარხვაშიაც) დაიწყებენ ქეიფს და ამ ქეიფობაში, ცეკვაში და თამაშობაში მთელ ღამეს ატარებენ და როცა წირვა დაიწყება, მაშინ კი სძინავთ!.. ეს არის პატივისცემა წმინდანისა? ეს არის ღვთის ვედრება ღამისთევით? არა, ძმანო, ეს ვედრება და ლოცვა კი არ არის, არამედ ჩვენი უბედურება და ცოდვა. ჩვენ ამისთანა საქციელით ვშლალავთ და ვგმობთ წმინდანების დღესასწაულობას· ამით ჩვენ პირდაპირ უარს ვყოფთ მათ მოღვაწეობას და მეოხებას. ამისთანა საქციელით ჩვენ განვარისხებთ ღმერთსა და საუკუნოდ ვკარგავთ წმინდანების მეოხებას, ამისთანა საქციელით, ძმანო, ჩვენ ვივიწყებთ ღმერთსა. იცით, ძმანო, რა საშიში ბოლო მოელის იმ ხალხს, რომელიც ღმერთს ივიწყებს და თავიანთ წმინდანების ღვაწლს და მეოხებას უარს ჰყოფს?

ისრაელთა ხალხს, რომელიც გამორჩეული და შეყვარებული იყო ღვთისაგან, ღმერთმა ისაია წინასწარმეტყველის პირით გამოუცხადა: «იცნა ხარმან მომგებელი, და ვირმან ბაგა უფლისა თვისისა, ხოლო ისრაილმან მე არა მიცნა, და ერმან ჩემმან მე არა გულის ხმა მყო. ვაი ნათესავსა ცოდვილსა» (ისაია თ. ა—გ). მეორე ადგილას ისაია წინასწარმეტყველი იტყვის: თუმცა დამივიწყო, ისრაილო, მეც დაგივიწყებ შენ და შენს ქვეყანას მივსცემ უცხოთესლთა და თქვენ აღგავებული იქმნებით პირისაგან ქვეყნისა, ვითარცა მტვერი. «ჭეშმარიტად ეს საშიში სიტყვა ჩვენზედ სრულდება, როგორც ვიეწვებთ

ჩვენ წინაპართა ძველ კეთილ ზნეობას და ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ისე ვსუსტდებით, ისე გვიგრილდება გული ყოველისფერზე, აღარც ტაძრის დღესასწაული, აღარც ჩვენი შესანიშნავი წმიდანების ღვაწლის მოგონება ახალისებს ჩვენს გულს; ერთის სიტყვით ყველაფერს, რითაც თავი მოქონდათ ჩვენ წინაპრებს, ვივიწყებთ და ალარაფრად ვაგდებთ. უნდა გვეშინოდეს, ძმანო, ვაი თუ ჩვენც დაგვივიწყოს ღმერთმა, ვაი თუ ჩვენც დაგვივიწყოს ჩვენმა წმიდანებმა და აღარაფერი მეოხება არ გაგვიწიონ ღვთის წინაშე! შეხედეთ, ძმანო, რუსის ხალხს და მიბაძეთ მათ ცოტათი მაინც. იგინი თავიანთ ქვეყანაში თავიანთ წმინდანებს ჭეშმარიტად სცემენ თაყვანს და ადიდებენ მათ. აბა მიხედეთ მათ მოქმედებას რუსეთში, რა შესანიშნავ ტაძრებს აღაშენებენ და რა გვარად ადიდებენ თავიანთ წმინდანებს, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით ხალხის და ღვთის წინაშე. ჭეშმარიტად გასაოცარია მათი უხვი შეწირულება ეკკლესიების გასამშვენებლად, მათ წმიდანთა მოსახსენებლად. იქ დადებული აქვსთ ყოველს წელს განსაკუთრებით იდღესასწაულონ თავიანთ მოციქულთ სწორნი და მოწამენი სარწმუნოებისათვის. ჩვენში კი თანდათან ისპობა ამისთანა დღესასწაულები. რუსეთში რომ არ წავიდოთ, მივიხედ-მოვიხედოთ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ თვალის წინ, თუ რა გულმხურვალეთ სცემენ პატივსა თავიანთ წმინდანებს. აიღეთ ქალაქი თბილისი, რამდენია იქ ალექსანდრე ნეველის სახელზედ ნაკურთხი ეკკლესია. როგორი მშვენიერი ეკკლესია აგეს ალექსანდრეს ბაღში, კუკიის ხიდის სიახლოვეს წმიდა ალექსანდრეს სახელზედ?.. აიღეთ ქუთაისი, ფოთი, ელისავეტოპოლი და სხვა გუბერნიების ქალაქები, სადაც პირველი ტაძრები ალექსანდრე ნეველის სახელზედ არიან აგებულნი. აი როგორ გულს მოდგინეთ სცემენ პატივს თავიანთ წმინდანებს და ჩვენ კი სულ გვავიწყდება ჩვენი წმინდანები და ჩვენი შესანიშნავი დღესასწაულები. საჭიროა დაუფიქრდეთ, ძმანო, ჩვენს თავს და ვევედროთ ღმერთსა, რომ არ აღსრულდეს ჩვენს თავზე სიტყვა, თქმული ისაია წინასწარმეტყველისაგან.



წმიდა ნინა.

წმიდაო დედაო, მოციქულთა ჰსწორო ნინო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა მოანიჭოს ღმერთმა მშვიდობა და კეთილ-დღეობა საქართველოს ერსა, შენგან განათლებულსა და გაქრისტიანებულსა და დაიცვას იგი ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან. ამინ!»

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მლოცველები აქაც ცოტანი იყვნენ. მოსწავლეთაგან მარტო ყვირილის სამრევლო სკოლის მოწაფენი იყვნენ. აქაური ნორმალური სასწავლებლის მოწაფენი კი არ იყვნენ, რადგან ამ სასწავლებელში, როგორც სხვა საერო სასწავლებელშიაც, ამ დღეს არ დღესასწაულობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქა უბნობა სამოთხისათვის.

(გაგრძელება *)

უსაწადელეს ყოველთა ჰქმნილთა კეთილობათა,
რაცა სადა რა ხილულნი მიეცნენ შემკულობათა,
უმჯობეს ყოველთა არეთა და ყოველთა ადგილობათა
და ჰყო აღმოსავალს სამთენოს რაიმე სხვა ქმნილობათა.
უმაღლეს ყოველთა ადგილთა ხუთ ათეულის წყრთა ოდენ.
ყოვლად უტკბილეს ხე ხილნი სუნნელნი მრავლად ყვაოდნენ,
ნელნი და წყნარნი ნიავნი არხევდენ ხილთა რაოდენ,
და თქმა სიტკბოების ვერ ძალ-უძს, რაზომცა ბრძენნი ზღაოდენ.
მუნ აღმოსცენდენ წყარონი ტკბილი და საწადელები
ოთხნი დიოდეს საყვარლად გემოვნად ტურფად ნელები,
ფისონი, ტიგრის, გეონი, ნილოსს სმენნ ეგვიპტელები,
და ვინცა მუნ შეხვდეს დააეიწყდეს ჭირნი ახალნი ძველები.
მან ხელოვანმან მხატვარმან შეამკო ყოვლად კეთილად,
ზე მოაფრქვია, განსდიდნა ლხინება მუნ შეკრებილად,
ყოველი საწადი მუნ იყო თუ სთქვა გროებულ შეყრილად
და მანვე სახელ ჰსდვა სამოთხედ შვენიერებით ადვილად.
მის გარემო შეტკბობილ ჰყო ცხოველნი მას აშიკობდეს,
ახლად სოფელს შემოსრულნი, რაცა კარგი მუნ იტრფოდეს,
ცხოველთაგან უმჯობესნი მის მიდამოს ესურვოდეს
და მფრინველნი ხმა შვენიერნი მრავალ გვარად ჰკიკჰიკობდეს
მისის შვენებით ცხოველნი მრავალნი თავსა აგებდეს

*) იხ. «მწყემსის» № 1, 1895 წ.

არღა მიხვდეს თესლ ტომთა, შვილთაცა მოიძაგებდეს,
კნინღა სურვილით საზრალოდ ცნობასა გაიშმაგებდეს
და ძალი არ ჰქონდათ შორქმნადდა, ახლოს ეტრფოდეს აქებდეს,
საწუთო ესე სოფელი მათ ცხოველთ საზრდოს მცემია
ჰგავს ტკბილი იგი სამოთხე სხვისად ჰყო მინაჩემია,
მას ჟამს არა ჩნდა სხვა ლომი, არ პირმშო არცა მრწემია,
და არა მემკვიდრე მოსახლე და არცა სადა მსხემია.
იგივე მექმი ყოველთა თვით სრულ ჰყოფს თვისსა ნებასა.
რაცა ენების, იქმნების საღმთოსა მას განგებასა,
რას თვის სწადნოით მსმენელნო სიტყვისა მოსწრაფებასა,
და ცისმინოთ, რა ჰსთნავს ზესთა მას საღმრთოსა მოქმედებასა.
ვინადგან ესე ხილული სოფელი მყოფმან ზენამან
ესრეთ შეამკო ყოვლითურთ და დიდად გაანაშვენამან,
მსმენელთა გულნი დაატკბოს ჰამბისა წარმოჩენამან,
და მრავალნი გაცნოსთ თხრობანი მცირემან მაგა თმენამან.
სხვათა და სხვათა ჰამბავთა წინა დაგიგისთველები,
ზოგნი საამო და ზოგნი გულისა ლახვრებ მჭრელები,
მაშინ ჰსცნათ საქმე სოფლისა, ვით არს ფერ მრავალ მჭრელები,
და იგივე სიტყვა ყიხმიოთ ზესნი და საკვირველები.
ხილული ესე სოფელი სჭვრეტთ რაზამ შემკობილია,
ვითა ქალაქი კეკელა სამეფოდ აღტრფობილია,
და ვითა სასძლო ცხედარი სიძისად შეტკბობილია,
და ეგრეთ ვით სძალი კეკლუცი შვენების მინდობილია.
ხელოვან ხუროთ მოძღვარმან საქმეთა ზესთა ზენითა
რაცა შემზადა ვითა სთქვას ქება მოკვდავმან ენითა!
თუმცა იხმაროს რიტორმან მელნად ნილოსი დენითა
და ვერ მიხვდეს ღირსად ქებასა რაზომ აღივსოს წყენითა.

## საისტორიო მასალა.

### იოანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მე XIII დმი მირთმეული 1799 წელსა.

### ფულისათვის. *)

მეთექვსმეტე. ფული, ანუ თეთრი, რადგან ძვირია ყოველთვის ვერცხლის ფული, და ამასთან შავ ფულსაც არა ძევს პატივი, ინებეთ ესრეთ: ერთი მისხალი ბაჯაღლუს ოქრო, ანუ ისე ოქრო, მოიჭრას ექვს შაურ ნავრუზისა, და თითო შაური იყოს ფასით შავ ფულზედ ხუთ-ხუთ აბაზად. ამ ფულს ხარჯშიაც მიიღებდეთ და ჯამაგირშიაც უბოძებდეთ. ამისთვის, რადგან თქვენ მიიღებთ, ხალხიც თანხმა შეიქნება. და ასე დაიწყებს უფრო მუშაობასა და ვერცხლი მაშინ უფრო გამრავლდება. ამ ოქროს შაურს არც უნდა მოემატოს და არც დააკლდეს; სატარებლადაც იქნება სუბუქი. ხოლო შავი ფულიცა მოიჭრას ეს სახედ, ვინადგან სატარებლადცა მძიმე არის: ერთის დრამის სამ წილს ვერცხლში გაერიოს მეოთხედი სპილენძი, და ესე მოიჭრას ათ ბისთად, წონით რაოდენიც გამოვიდეს ფარასავით (?) და ესე იყოს შავის ფულის ადგილას. აგრეთვე შაურადაც გაკეთდეს ამავე გვარის შეზომებით (?). ხოლო სახედ ვერცხლი ისე მოიჭრას, როგორც ძველად იყო, გარნა ნუ იქნება ისე წმინდა, ასე რომ მანათსავით იყოს მას შინა. აჰიერი (?), რომ ჩვენსავე ქვეყანაში დარჩეს ფული და სხვაგან ისე არღა გავიდეს. ეგრეთვე მოიჭრას სპილენძის ფული ხუთზედ აბაზიანი ალთამიშულის სახედ. ეგრეთვე ოროლ მინალთუნიანი და ათ შაურიანი და ხუთ მინალთუნიანი ზოდის სახედ და ზედ აჯდეს სიქა და ფასი სახელდობ (დედანში ეს ადგილი დაუთავებელია).

### მოხელეთათვის.

მოხელენი დაიდგინნენ ეს სახედ: სადროხუცესი იყოს მხოლოდ სამეფოთა ყმისა შემოსავალთა ზედამხედველი და სასახლისა გამგე; ნაზირი ამისვე ხელქვეშე და რაოდენიმე მწერლები და სხვანი სახმარნი კაცნი. ეგრეთვე თალინდარნი, შემოსავალთა ტომართა მცველნი.

მეჩვიდმეტე. გამოირჩივნენ ჭკვიანნი კაცნი პირველისა გვამისანი, და დაიდგინენ ამ სახედ: ერთს გვამს, ვინც იყოს დანიშნული, ეკითხებოდეს ყოვლის მხრიდამ მოსრულის ელჩების საქმე; ელჩები მასთან გამოცხადდებოდენ, იგი მოსცემდეს რიგსა სახლისა, საჭმლისა და სხვისა საჭიროებისასა; იგივე წარადგენდეს მეფესა და იგივე პასუხით გაისტუმრებდეს, რაგვარცა მეფე ინებებს. და ამასაც ჰყვანდეს მიჩენილი მწერლები და სხვანი მოხელენი; და ესე იქმნება განსხვავებული გვამი. და ესევე გამოარჩევდეს სხვათა ქვეყანაში გასაგზავნს კაცსა ელჩად და მისვე ხელქვეშ იყვნენ მემანდარნი.

მეორე. იყოს ხაზინადარი და რაც თეთრი შემოვიდეს, ამას მიბარდებოდეს ანგარიშით, და დახარჯვაც ამასვე ეკითხებოდეს; და ამასაც ჰყვანდნენ მიჩენილნი მოხელენი და მწერალნი. შემოსავალსა და გასავალსა ესე მისცემდეს ანგარიშს თავის ადგილსა.

მესამე. იყოს რაც შემოსავალია პურისა, ბრინჯისა, ქერისა და ესე ვითართა უფროსი, და ამასაც ჰყვანდეს ხელქვეითნი.

მეოთხე. იყოს ღვინის უფროსი, და ამას ეკითხებოდეს.

მეხუთე. იყოს საკლავთა და სხვათა ხორაგთა უფროსი და ამას ეკითხებოდეს და ამასაც ჰყვანდეს მოხელენი.

მეექვსე. იყოს ფარეშათ უხუცესი და ამის ხელს ქვეშ იყოს ან სამეფო და ან საჯარო კარავნი და საფენნი და ესე ვითარნი და ამასაც ჰყვანდნენ ხელქვეითნი.

მეშვიდე. იყოს ქარავანთ და ვაჭართ უფროსი, და ამას ეკითხებოდეს ვაჭრებისა და სხვათა ქვეყნებსა შინა აღებმიცემის საქმე, და ამასაც ჰყვანდეს ხელქვეითნი.

მერვე. იყოს არზებისა და წიგნების მიმრთმევი მეფისა და ამასაც ჰყვანდეს ხელქვეითნი.

მეცხრე. იყოს ექიმბაში და ამას ეკითხებოდეს ექიმთ საქმე და ავადმყოფთაც ასე უგდებ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 12 1894 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ყურსა და ამასაც ჰყვანდეს მოხელენი და ჯარებიცა ამის ხელქვეშ იყვნენ.

მეათე. იყოს განათლების მოხელე, ი. ე. სკოლებისა, სხვა სასწავლებლისა და სტამბების საქმეში, და ამასაც ჰყვანდნენ ხელქვეითნი.

მეათერთმეტე. იყოს თოფის წამლის ტყვიის გამრავლების უფროსი, და ამასაცა ჰყვანდნენ ხელ ქვევითნი და ეს აძლევდეს ყოველგან რიგს, სადაც წამალი ინახებოდეს; და აგრეთვე ჯარის კაცთა ტანისამოსისა მეურნე, რაც მოუნდებათ ტანთა და ფეხთა იმის რიგის მიმცემი.

მეათორმეტე. იყოს სამღვდელოთა დიკასტი-რიასა შინა მიჩენილი, და რაც სასულიერო საქმე რამ მეფეს მოხსენდებოდეს, ამის მიერ განეცხადებოდეს დიკასტირიის წევრთა, და მათ მიერ დამტკიცებულსაცა ესევე ახსენებდეს მე-ფეს.

მეათცამეტე. ჰყვანდეს მეფესა ოთხნი უშკა-ლაშნი: ერთი ჯარისა, რომ ესე მოახსენებდეს, რაც საჭიროება ითხოვდეს; ერთი იასაულთა უფროსი, რომ ესე გაგზავნიდეს იასაულთა საქმესა ზედან; ერთი ელჩების დროს მიმძღო-ლი, და ერთი ყოველთვის თანამხლებელი გა-საგზავნ-გამოსაგზავნად. და ამათაც ჰყვანდეთ ხელქვევითნი, ხელჯოხიანნი იასაულნი და სხვანი.

(გვერდთ უწერია) იყოს აგრეთვე ცერემო-ნიის უფროსი, რომე ჟამსა დღესასწაულებისა, შეყრილობისასა და ელჩების მიღებისასა ეს მისცემდეს განკარგულებას თავის თავის დროს შესაფერად.

მეათოთხმეტე. იყოს მეჯინიბეთ უხუცესი, და ამის ხელქვეშე იყვნენ ყოველნი სამეფო ცხენნი, საკიდარნი ჯორნი და აქლემნი, ურემ-ნი და აგრეთვე ჩაფარნი კაცნი და ამასაც ხელ-ქვეშე იყვნენ მოხელეები დამჭერლებისა და მეითალები.

მეათთუთხმეტე. იყოს შენობათა ციხისა, სოფ-ლებისა, ეკკლესიებისა, სასახლეთა და ესე ვი-თართა უფროსი და ამასაც ჰყვანდეს ხელ-ქვევითნი.

(შემდეგი იქნება).

## თამარ დედოფლის გულკეთილობა.

(ვუძღვნი ბლაღოჩინს მღვდ. მ. იოსებ ხუციშვილს)

I

ის დრო იყო, დრო ნეტარი
დიდი თამარ დედოფლისა,
როს იგემა ქართველობამ
სიამენი ამ სოფლისა.
როცა დროშა ივერიის
თავისუფლად ფრიალებდა,
და ქართველი ბედნიერი
უცხო ტომს არ მორჩილებდა.
გელათს ხშირად ნახულობდა
დიდი თამარ დედოფალი,
მის ზღუდეში ისვენებდა
ხშირად ზრუნვით დამაშვრალი.
იგონებდა თვის წინაპრებს,
და ამითი მხნევდებოდა...
სოფლის ღელვით შეშინებულს
ძალა უორკეცდებოდა.
სამი წელი არის, რაც მან
ხელთ აიღო კვერთხი მეფის..
და თავს იდვა წინამძღვრობა
საყვარელის თვისის ერის.
ქრისტეს ჯვარის სადიდებლად
გადიხადა ბევრი ომი,.
თუმც თვის თავად სისხლის-ღვრისა
ის არ იყო გულით მდომი.
ერთხელ იგი ჩვეულებრივ
გელათში იმყოფებოდა
და დილასა წასასვლელად
წირვაზედ ემზადებოდა.
იკაზმება თამარ მეფე
ხორც-შესხმული მშვენიერება,
თანაც ჩქარობს... საყდარშია
იმას წასვლა ეშურება.
ამ დროს იმას კარს მიადგა
ერთი ვიღაც მათხოვარი,
შავბედისაგან დაჩაგრულსა
სდიოდა მას ცრემლის ღვარი.
—„თამარ მეფევ“—ისა გმობდა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენო დედავ, შემიწყალე.
შემწეობა რამ მიბოძე,
შენს მარჯვენას ვენაცვალე!
ცეცხლმა დასწვა ჩემი სარჩო,
რაც მებადა და სახლ-კარი,
ტიტველ ცის ქვეშ ჩემს ცოლშვილსა
ძლიერ სტანჯავს ხვედრი მწარი!»
— „მოიცადოს“ — ბრძანა მეფემ —
„გავათავებ მომზადებას
და მივცემ მე იმ გლახაკსა
შესაფერსა მოწყალებას!»
მაგრამ როცა სახლიდგანა
დედოფალი გამობრძანდა,
გაუკვირდა, რომ გლახაკი
იმას კარზედ აღარ დახვდა.
ეწყინა ეს თამარ მეფეს,
გული სევდით დაეღარა
და გულ ჩვილმა სიბრალულის
ცრემლებიცა გადმოღვარა.
ტაძარშია რომ შებრძანდა,
გასცდა მეფის სადგომელსა,
და მიმართა მოლუშულმა,
ხახულისა ღვთის-მშობელსა.
დაჩოქილი ლოცულობდა
მთელს ცისკარსა და წირვაზედ,
გულ-მკერდზედა ხელს იცემდა
და ახლიდა თავსა ქვაზედ.
ლოცულობდა:» ძეო ღვთისავ,
მაპატიე შეცოდება;
რომ ვერ მივეც იმ გლახაკსა
თავის დროზედ მოწყალება.
მომიტევე... ძვირფას ქვებით
შენის დედის სახეს მოვრთავ,
ჩემს სიმდიდრეს და ქონებას
ღარიბ-ღატაკებს შევსწირავ.
ღარიბულად თვით ვიცხოვრებ,
ღარიბულად გარდავიცვლები,
ოღონდ ჩემის ხალხის თვალზედ
არ ვიხილო მე ცრემლები.
ჩემ საყვარელ მამულისთვის
სანთელივით დავიწვები
და მის კეთილ-დღეობასა
ზვარაკად შევეწირები!
მომიტევე, ძეო, ღვთისავ,
დღევანდელი შეცოდება!!.
ვერ იწვალა კაცმან ჭკუა,
დახშული აქვს მას გონება:
ხშირად იგი გულს გვიხიბლავს,
რაც ფუჭია და წამწყმედი,
რისაც აზის გარყვნილობის
და სიდუხჭირის ბეჭედი!!.
არ იცნა და ვერ გასწორდა,
ვერ დაკეთდა კაცის გული:
მაში ცოდვა, მაში ბიწი
არის დაბინავებული...
ამაოა ქადაგება,
ამაოა დარიგება;
კაცი ისევ ეშმაკს მორჩებს
და ნახევარ მხეცად რჩება.!!
მაპატიე, ძეო ღვთისავ,
დღევანდელი შეცოდება...»
გაათავა, ადგა, გულში
იგრძნო რაღაც სიტკბოება.
და მასუკან მის უხვობას
აღარ ჰქონდა თვის საზღვარი;
მრავალი ეკლესიებით
დაამშვენა მთა და ბარი..
ყოველს გაჭირვებულს ქართველს
აძლევდა ის მოწყალებას
და სცდილობდა სამშობლოის
აღდგენას და აღყვავებას.
გულ კეთილი იყო მეტად
დიდი თამარ დედოფალი...
იმის მსგავსი კეთილ გვამსა
ვიღას ნახავს ჩვენი თვალი?!

ილ. ჩხერი-მელის პირელი

## ახალი ამბები და შენიშვნები.

გამოჩენილმა საფრანგეთის მკურნალმა დოქტორმა რუმ გამოუგზავნა ტბილისის ქალაქს საჩუქრათ ორასი გრამი მახრჩობელი ყელის ტკივილის ასაცრელი წამალი. ეს წამალი ქალაქმა გადასცა თავის ექიმების რჩევას, რომ დაჭირვების დროს მიაწვდინონ ავათმყოფებს. ამის გამო საექიმო რჩევის ზედამხედველი ექიმი სტეფანოვი უცხადებს საყოველთაოდ ექიმებს, რომ თუ ვინმე ღარიბი გახდა ავათ ხუნაგითა, ვთხოვ, მოიქცეს ჩემთან და მე უსასყიდლოთ

მივცემ ამ სენის ასაცრელ წამალსო. ვისაც დაჭირდეს ეს წამალი, უნდა მიმართოს თხოვნით საქალაქო სამკურნალოს.

—

უმაღლესათ გამოიცა ბრძანება სახელმწიფო ხაზინიდან მიეცეს წმ. სინოდს შვიდასი ათასი მან. სამრევლო შკოლების შესაწევნელათ.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ გამოსცა ბძანება, რომ აღარავის არ შეუძლია იარაღ-ჩამოკიდებული შევიდეს სასამართლო პალატაში და ოლქის სასამართლოებში. ვისაც ჰსურს იქ საქმისთვის შესვლა, იარაღი უნდა ჩამოიხსნას და შვეიცარს უნდა მიაბაროს.

—

გორში დაუკეტიათ ყველა სამიკიტნოები, რომელნიც ყოფილან ორმოცი საჟენზე ახლო ეკკლესიებთან. ამისგამო მიკიტნებს შეუკრავთ პირი და საჩივარი გაუგზავნიათ ტფილისის გუბერნატორთან. ჯერ არვინ იცის, როგორ გათავდება ეს საჩივარი.

—

თავადს ზაქარია გიორგის ძეს ერისთავს გადაუწყვეტია სამი სტიპენდია დაარსოს ქართველ სტუდენტებისათვის, სამივე ოდესის უნივერსიტეტში. სტიპენდია უნდა დაენიშნოს ერთი მათემატიკის ფაკულტეტზე, მეორე ისტორიკო-ფილოლოგიურსა. და მესამე მომავალ სამკურნალო ფაკულტეტზე მოსწავლეებს. ერთი სტიპენდია იქნება თ. გ. რ. ერისთვისა, მეორე კნეინა ან. ივ. ერისთვისა და მესამე თვითონ სტიპენდიის დამაარსებელის სახელობაზე. ამ საგანზე თ. ზ. რ. ერისთვის კიდეც გაუმართავს მიწერ-მოწერა პროფ. პეტრიაშვილთან («კვალი»).

—

მინისტრთა წლოვანება. გრაფი ი. დ. დელიანოვი არის 77 წ., ნ. გ. გირსი—75 წ. და პ. ს. ვანნოვსკი—73 წ., ნ. ხ. ბუნგე—72 წ., კ. პ, პობედონოსცევი—70; ტ. ი. ფილიპოვი—67 წ., ი. ნ. დურნოვო—65 წ. ნ. მ. ჩიხაჩოვი—65 წ., გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი—58 წ., ა. ს. ერმოლოვი—48 წ., ს. იუ. ვიტტე 46 წ., ნ. ვ. მურავიევი—45 წ.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

## ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული არხიმანდრიტის ლეონიდის მიერ ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის ტაძარში 27 დეკემბერს 1894 წ.

> მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყუათა მათ ღმრთისასა, და ხედვიდით გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა, და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13, 7)

ღვთაებრივი, უკვდავი და გამაბედნიერებელი სწავლა-მოძღვრება, რომელსაც ჰქადაგებდა მხსნელი და მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე თავის ქვეყნათ ყოფნის ჟამს, მოჰფინეს დედამიწის პირს, გაავრცელეს ხმელეთზე და ღრმათ დაუნერგეს გულში აუარებელ ხალხს პირველად მაცხოვრისავე მოწაფეებმა ანუ მოციქულებმა, ხოლო მათ შემდეგ მრავალთა წმინდათა მამათა და დედათა. რასაკვირველია, ეს წმიდა გვამნი, რომლებმაც შესძინეს კაცობრიობას უმაღლესი ბედნიერება, რომლებმაც თავიანთი დაუცხრომელი შრომით და მხურვალე ღვაწლით, წყვდიადში და სიბნელეში მსხდომი ხალხი გამოიყვანეს ჭეშმარიტ ნათელში და დაადგინეს იგი საუკუნო ნეტარების, სამუდამო ბედნიერების და დაუსრულებელი სიხარულის გზას, უნდა გამხდარიყვნენ ყველასთვის დაუვიწყარ და მარად სახსოვარ პირებათ, უნდა ხსომებოდათ იგინი ყველა ქრისტიანებს და ცდილიყვნენ განეხორციელებინათ, აესრულებინათ მათი მოძღვრება. „მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, დაჰსწერს ამისთვის პავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოციქული, რომელი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისასა, და ხედვიდით გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა, და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა"-ო. ეს მცნება და დავალება ხსენებული მოციქულისა, ცხადია, ჩვენც შეგვეხება. ჩვენი ძვირფასი და საყვარელი სამშობლო—საქართველო—ბევრ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ადრე ეღირსა დიდსა და მაღალ ბედნიერებას, ქრისტეს სარწმუნოებით განათლებას. თავადაც დიდი და სანეტარო ეს გარემოება მით უფრო სასიხარულოდ და საბედნიეროდ უნდა გვქონდეს ყველას დარჩომილი, რომ ქრისტეს ცხოველმყოფელი სარწმუნოების სხივების პირველად შემომტანა საქართველოში წილად ხვდა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელსა! მართალია, ჩვენი ერი ვერ ეღირსა პირადად ღვთისმშობლის ხილვას, მაგრამ, სამაგიეროდ, მას შემდეგ, რაც განგებულებამ წილად ახვედრა მას ჩვენი ერი, იგი გახდა და დღევანდლამდე არის მცველი და მფარველი მთელი საქართველოსი, მან მოავლინა თავისს მაგივრად ჩვენში საქადაგებლად მოციქულნი ქრისტესნი—ანდრია და სიმონი, მან ჩაუდო გულში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების აზრი წმიდა ნინოს, მან აღძრა და მოიყვანა ჩვენში ასურეთის ქვეყნიდამ ათ-ცამეტი მამანი, მათ შორის ღირსი მამა სტეფანე ხირსელიც, რომლის ხსენების აღსასრულებლად შეკრებილვართ დღეს ყველა აქ მდგომარენი. დიაღ, ძმებო, ჩვენც მოვალენი ვართ მოვიხსენებდეთ მუდამ იმ პირებს, იმ წინამძღვრებს, რომლებმაც მოგვანიჭეს უფალი იესო ქრისტეს უძვირფასესი და უტკბილესი სარწმუნოება, რომელთა მეოხებით ვბედნიერდებით ღვთის მსახურების აღსრულებით, ვტკბებით ქრისტეს მაღალი მოძღვრების მოსმენით...

სასიხარულოდ და სასიამოვნოდ მაქვს დარჩომილი, რომ ზემო მოყვანილი მცნება მოციქულისა არ დაგვიწყებიათ. თუ სრულებით არა, პირველ ნახევარს მაინც ასრულებთ ამ მცნებისას. მცირე ხანია, სულ მცირე, რაც ვიმყოფები ამ ყოვლისფრივ შემკობილ და უფლისაგან ნაკურთხს ქვეყანაში, მაგრამ იშვიათად გაივლის თვე, არ გავიგონო: ამ სოფელში შეკროვდა ხალხი ღვთისმშობლის დაბადების სადღესასწაულოდ, იქ მიეშურებიან წმიდა გიორგის თაყვანის საცემლად, სხვაგან წმიდა ნიკოლოზის ხსენების აღსასრულებლადო და სხ. და სხ.

როგორც შეუძლებელია, რომ ქვეყანას, სოფელს, სახლს ანუ ოჯახს არა ჰყამდეს, გარდა ხელმწიფისა, რომელიც არის საზოგადო უმფროსი, ეგრეთვე კერძო უმცროსები, მცველები და მეთვალყურენი, ისე შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ მართლმადიდებელ ერსა, სოფელში მცხოვრებია იგი თუ ქალაქში, მდიდარი თუ ღარიბი, სწავლული თუ უსწავლელი, არა ჰყაედეს, გარდა ღვთისა, რომელიც არის ყოველთფრის დამბადებელი და საზოგადო მფარველი, ზეციურნი კერძო მფარველნი, სულიერნი მცველნი და კეთილნი წინამძღოლნი. ხოლო უკეთუ სინდისი, პატიოსნება და ზრდილობიანობა გვხდიან ვალდებულათ, რომ გვიყვარდნენ და პატივსა ვცემდეთ ჩვენი ოჯახების, საზოგადოების და ერის მეუფროსებს, ვაწყობდეთ ჩვენ ცხოვრებას მათდა სასიამოვნოდ და მოსაწონად, ცხადია, იგივე ზრდილობიანობა, იგივე სინდისი და ქრისტიანული პატიოსნება ვალდებულ ჰყოფენ ქრისტიანს, რომ მას ახსოვდეს მარად თავისი ზეციერი მფარველი, იყოს გამსჭვალული მხურვალე სიყვარულით თავისი საზოგადოების მეოხისადმი და სცდილობდეს ეს სიყვარული, მოწიწება და პატივის ცემა ზეციური მფარველისა გამოხატოს, განახორციელოს, დაამტკიცოს თვით ცხოვრებით და ყოფა-ქცევით... მორწმუნე ადამიანი მოვალეა თავისი წინამძღვარის ხსენების აღსრულების დღეს გაითვალისწინებდეს განვლილი წლის თავისს ცხოვრებას, გულდადებით ჩაუკვირდებოდეს მას და უპირმოთნეოთ, სისწორით, სრული სიმართლით, გამოტეხით ეტყოდეს თავისს თავს, თავისს სინდისს, თავისს სულს: ქრისტიანობრივ წინმსვლელობაში და წარმატებაში ყოფილა თუ არა წასული წლის განმავლობაში, შეუქენია მას განვლილ წელში რომელიმე ახალი სათნოება, ან მოუშლია ერთიცაა წინანდელი ზნეობრივი ნაკლულევანება, თუ არა, როგორც ქრისტიანი, შარშანდელთან შედარებით, უკეთესი გამხდარა თუ არა. უკეთუ ამ გვარმა გამოძიებამ და გამოკვლევამ ადამიანს დაანახვა, რომ განვლილ წელიწადში ისა სდგომია ზნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივ წარმატების კვალს, ახალი ნაბიჯი გადაუდგამს მას წინ ზნეობრივ ცხოვრებაში, ბევრი კეთილი შეუძენია და ბოროტი მიდრეკილება აღმოუკვეთია, ერთი სიტყვით, ზნეობრივის მხრივ ის გაუკეთესებულა, ამაღლებულა და გაკეთილშობილებულა, მოვალეა შესწიროს გულმხურვალე მადლობა თავის ზეციურ მფარველს და შესთხოვოს მას, რომ მომავალ წელსაც მისცეს ძალი და შეძლება იგი კეთილ-ზნეობრივი ცხოვრების წინმსვლელობისა, ქრისტიანული მოვალეობის უკეთესად შეგნებისა, ისევ სარწმუნოებრივი აღმატებისა და გაუმჯობესობისა. მაგრამ თუ ცხოვრების გათვალისწინებამ და ჩაკვირებამ დაანახვა ადამიანს, რომ წარსული წელი გაუვლია მისთვის არა ჯეროვანად. ე. ი. ამ წლის განმავლობაში მას არამც თუ არ შეუძენია და არ მოუპოვებია სიკეთე და ღვთის სიყვარული, არამც თუ არ ამაღლებულა იგი ზნეობით და არ მოუშლია წინანდელი ნაკლულოვანებანი, არამედ უფრო დაცემულა, ზნეობით დაქვეითებულა და უვლია უკუღმართობის გზაზედ, მოვალეა თავისი სოფლის წმიდანის დღესასწაულის დღეს წრფელად შეინანოს ამ გვარი თავისი ქცევა, მისცეს თავის სოფლის წმიდანს გადაწყვეტილი, მტკიცე და პატიოსნური აღთქმა, რომ მომავალ წელს იწყობს უმჯობეს ცხოვრებას, მდუღარე ცრემლით, მხურვალე ვედრებით, ქრისტიანული მორჩილებით გამოსთხოვოს მას შემწე—მფარველობა, და წინამძღოლობა მომავალი დროს კეთილ ცხოვრებაში.

აი, მორწმუნენო მსმენელნო, რა გვარი აზრებით უნდა იყოთ გამსჭვალულნი, თუ გსურთ, რომ ამ თქვენ სალოცავად შეკრებას ჰქონდეს ქრისტიანული ხასიათი, თუ გსურთ ზეციური მეოხის ხსენებით სიკეთის შეძენა, თუ გნებავთ, რომ იყოთ ღირსეულნი აღმასრულებელნი პავლე მოციქულის მცნებისა: მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისასა, და ხედვიდით გამოსვლასა მას ცხოვრებასა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა? ამინ!

არხიმანდრიტი ლეონიდე.

## რედაქციის პასუხი.

**ბ. ზურ-დუ ხ-მეს.** თქვენს კითხვას განმარტება არ უნდა: ერთხელ შეწირული ნივთი ეკკლესიაში გარდაცვალებულის დამარხვისთვის არ გამოიწირება. ამ ეკკლესიის შემავალს შეუძლია მთავრობასთან მიიქცეს ამაზედ თხოვნით და კანონიერად იქმნება დაუმაყოფილებული.

**ბ. გ. გ—შვილის.** მთავარ დიაკონმა კურთხევა თუ არ მიიღო მღვდლისაგან, წირვის ნებაც არა აქვს, არა თუ ზიარებისა. თქვენ იწერებით: „ჩვენს საბლაღოჩინოში ერთი მღვდელი ოჯახებში დაიარება ოჯახის საკურთხად ნათლისღების დღეს და აღდგომას; სხვები არავინ არ დაიარებიან. კანონიერია ეს საქციელი თუ არა და თუ კანონიერია, რატომ სხვები არ იქცევიან ამ მღვდლის მსგავსად?»

ამ მღვდლის საქციელი, რასაკვირველია, კანონიერია, მაგრამ სხვები თუ არ ასრულებენ ამ წესს, იმისა ბრალია, რომ ბლაღოჩინი უთვლებიათ სუსტი და არ მოუთხოვია მღვდელთაგან იმის ასრულება, რაც უნდა აღასრულონ!...

**მღ. კასილ ჯი-ჯიეიშვილის.** შეუძლიათ აგრე მახლობელ სასაფლაოდან გადაიტანონ დამარხული გვამი, თუ სახადი სნეულებით არ არის მიცვალებული გარდაცვლილი.

**გ. დვა—ს.** თუ სოფლის პოლიციას თვალით ვერ ხედავთ, განუცხადეთ მაზრის უმთვროსს და ის, იმედია, მოძებნის.

**მღ. მ. გაგა—გს.** თქვენი ჯოჯოხეთი, ერთობ საშიშარიავაი თუ სასოება დაუკარგოს მკითხველს... არ დაიბეჭდება...

**მღ. პ. კვა—ლიას.** თქვენი სიტყვა შობის დღეს თქმული, საწინააღმდეგო სრულებით არ არის, მაგრამ უადგილობისა გამო არ იბეჭდება.

**მღვდელ—მონაზონს სვიმონს.** თქვენი სიტყვა არ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ
კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის ასრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი ჟურნალისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» | 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» | 3 მ. |
| — ,, ორივე გამოცემა | 6 » | — ,, ორივე გამოცემა | 4 » |
| — ,, რუსული ,, | 3 მ. | — ,, რუსული ,, | 2 მ. |

სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში,** აგრეთვე **ქუთაისშიაც.**

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

**1895 წლის «მწყემსი»-ს**

ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ

## შოთას და დავით აღმაშენებელის

მოზრდილი მხატვრობა

**შოთას** სურათს იანვრიდან მიიღებენ ხელის მომწერნი და **დავით აღმაშენებელისას** წლის ბოლოს.

---

მიიღება ხელის მოწერა 1895 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე“-ზედ

(II წ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

| კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: | | | სამზღვარ გარეთ: | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 წლით | . . . . | 10 მ ნ. | 1 წლით | . . | 13 მან. |
| 6 თვით | . . . . | 6 » | 6 თვით | . . | 7 » |
| 3 თვით | . . . . | 4 » | 3 თვით | . . | 5 » |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ** Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго **жур**нала «МОАМБЭ».

| რედაქტორი | გამომცემელი |
|---|---|
| ალექსანდრე ჭყონია | ალექსანდრე ჯაბადარი. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

# „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

---

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთის

# „კვალი“

გამოვა 1895 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურღიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აბაზათ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის «ქართულ სახალხო სამკითხველოში» და „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში». ქალაქს გარეშე ხელის და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, возлѣ кадетскаго корпуса).

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურით ღირება გაუგზავნელათ 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

საფოსტო ადრესი: Тфлисъ, Редакція «КВАЛИ».

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1895 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . | 6 მ. — |
| 11 » . . | 9 » 50 » | 5 » . . . | 5 » 50 |
| 10 » . . | 8 » 75 » | 4 » . . . | 4 » 75 |
| 9 » . . | 8 » — » | 3 » . . . | 3 » 50 |
| 8 » . . | 7 » 25 » | 2 » . . . | 2 » 75 |
| 7 » . . | 6 » 50 » | 1 » . . . | 1 » 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება—17 მან მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 12.

---

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ*, 27 Января 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.